

საქმე №330310122005522455
საქმე №3/1114-22



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების
მოქმედების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ

25 თებერვალი, 2022 წელი

ქ.

თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგია
მოსამართლე ლიელა ფოლადიშვილი

მოსარჩელები (შუამდგომლობის ავტორები) - 1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“, 2. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 3. გრიგოლ გაგნიძე

მოპასუხეები - 1. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მესამე პირები - შპს „ტექნოლოჯი 2021“ და შპს „მნ ნორთი“

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

შუამდგომლობა - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე და

გამოარკვია:

2022 წლის 24 თებერვალს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის დირექტორმა და გრიგოლ გაგნიძემ სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ. შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

1. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის N689/ს ბრძანება;

2. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანება;

2.1. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან „შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანება;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის N1-1/26 ბრძანება ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის N14921/21 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამავე სარჩელში მოსარჩელებმა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით იშუამდგომლეს სასამართლოს მიერ საქმეზე რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებამდე „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანების და „შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანების მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 თებერვლის განჩინებით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის და გრიგოლ გაგნიძის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი, ამავსე განჩინებით, საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ჩაბმული

იქნენ შპს „ტექნოლოჯი 2021“ და შპს „მნ ნორთი“.

სასამართლომ განიხილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსარჩელის შუამდგომლობა, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიების ისეთ სახეს, როგორცაა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. მითითებული მუხლი განსაზღვრავს სასამართლოში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საფუძვლებს. სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით მინიჭებული უფლების რეალიზაცია მხარეს აძლევს შესაძლებლობას არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოს დავის საგანზე გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნულ ეტაპამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც სადავო აქტის გამოცემამდე არსებობდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი

შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება სარჩელის წარმოებაში მიღებით, ავტომატურ რეჟიმში არ ხდება, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს სასამართლოს წინაშე მოტივირებული და დასაბუთებული შუამდგომლობის აღძვრას ისე, როგორც ეს დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილით. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

დადგენილია, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანებით შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გაიცა ლიცენზია 10 წლის ვადით.

ასევე დადგენილია, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანებით შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გაიცა ლიცენზია 10 წლის ვადით.

„შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანება და შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანება მოსარჩელეების მიერ 2021 წლის 18 ოქტომბერს ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროში, რომლის 2022 წლის 25 იანვრის N1-1/26 გადაწყვეტილებითაც მოსარჩელებს მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანება და შპს „მნ ნორთე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანება ექცევა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ჩამონათვალში, რომელთა მოქმედებაც არ ჩერდება სარჩელის წარმოებაში მიღებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვანწილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ამასთან აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მეტიც, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ძირითადად ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული აქტის კანონიერებაზე და მიიჩნევს, რომ იგი კანონდარღვევით არის გამოცემული, თუმცა შუამდგომლობაში არ არის მითითება იმ გარემოებებზე თუ რატომ უდნა შეჩერდეს გასაჩივრებული აქტის მოქმედება. სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასება წარმოადგენს, მოცემულ საქმეზე, არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის მსჯელობის საგანს, რაც უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ საქმის ყოველმხრივი და სიღრმისეული განხილვის შედეგად.

ამასთან, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ მოცემული მსჯელობა რელევანტურია მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების - სადავო აქტის მოქმედების შეჩერების საკითხზე მსჯელობისათვის, რაც ეფუძნება განსახილველ ეტაპზე საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლას, მოსარჩელის არგუმენტაციასა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის წინამძღვრების შეფასებას. ამდენად, ეს მსჯელობა პირდაპირ გავლენას არ ახდენს საქმის არსებით მხარეზე, და როგორც უკვე აღინიშნა, უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად. სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოწმდება მხოლოდ მოთხოვნის იურიდიული მართებულობა დავის საგნის წინასწარი მოწესრიგების მიზნით, ხოლო მოთხოვნის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობა სარჩელზე არსებითად მსჯელობის საგანია.

ამდენად, იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნეს ისეთი ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რომელიც მოქცეულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში და სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად ავტომატურად არ ჩერდება, მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული შუამდგომლობა სადავო აქტის უკანონობისა ან/და პირის კანონიერი უფლების დარღვევის შესახებ, ან უნდა წარმოიშვას დასაბუთებული ეჭვი, რომ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს და შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის შემდგომში დაცვას.

შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო მოქმედებს ვარაუდის ფარგლებში. ანუ, როდესაც კონკრეტული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა, ალბათობის მაღალი ხარისხით ივარაუდოს, რომ განსახილველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირის მიმართ აშკარად უკანონოა ან პირიქით. სასამართლო ახდენს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებას, რაც განპირობებულია ამ ინტერესებს შორის ბალანსისა და მმართველობითი საქმიანობით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის აუცილებლობით. ამდენად, სუსპენზიური ეფექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირის დაცვა არასასურველი მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისაგან, რაც გულისხმობს იმ მდგომარეობის შენარჩუნებას, რომელიც სადავო აქტის გამოცემამდე არსებობდა.

რადგან, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე და მისი ადეკვატური. დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების და მით უფრო მესამე პირის უფლების და ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მასალები, არ ქმნის საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად.

მოსარჩელების შუამდგომლობა არ შეიცავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის არანაირ დასაბუთებას. ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა იმ მოტივებზე დაყრდნობით, რაც მოსარჩელის მიერ მითითებულ იქნა სარჩელში. ამდენად, სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-416-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის და გრიგოლ გაგნიძის შუამდგომლობა „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანების და შპს „მნ ნორთზე“ (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა- მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქალაქი თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა) მხარისათვის მისი ასლის გადაცემიდან 12 დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე

ლიელა ფოლადიშვილი